

1937

# მეგობრული

საბავშვო  
საგარეო

№ 2



1937



# „ტეატრები“

## № 2 თეატრული 1937 წ.

სამ. ა. ლ. კ. კ. მძეას და სამ. განსახორციელების მართლმართლიანი ორგანიზაციის

სამ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტური“ რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ. № 3-02-61

### შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
1. ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე . . . . .	1
2. ქვარიანი ხიზონი, — ვისი პორტრეტი? (მოთხრობა) . . . . .	2
3. მრევლიშვილი მათეა, — ფიფქები (ლექსი) . . . . .	4
4. ბილანიშვილი ალ., — ჩემი მურა (ლექსი) . . . . .	4
5. გრიშაშვილი ი., — დაფლული ცეცხლი (ლექსი) . . . . .	5
6. ჩხეიძე ბორის, — ბომბორა (მოთხრობა) . . . . .	5
7. ნაკაშიძე ნინო, — ჩვენ დაეიკარგეთ (მოთხრობა) . . . . .	7
8. სულავა ალექსანდრე, — ილია ქვეყნაძე (წერილი) . . . . .	9
9. მარიჯან, — ლეოს დაბადების დღე (ლექსი) . . . . .	12
10. ონელი არნო, — გაიზარდე დიდი ქალი (ლექსი) . . . . .	12
11. შამათავა დავით, — ჯოკიას წერილი (მოთხრობა) . . . . .	13
12. შაკობაძე ალაბაზ, — ირმის ბალახი (თარგმ. ს. ულენტიის და მ. მამულაშვილისა) . . . . .	15
13. მარიანიშვილი შალვა, — რვა დღე მარტოდ (ნარკვევი) . . . . .	17
14. თაბუკაშვილი შალვა, — დააკვირდით (მოთხრობა) . . . . .	20
15. ახვლედიანი დარია, — სოსო და ნუნუ (ლექსი) — გარეანის მე-3 გვ. . . . .	
16. დაუნარელი ნოე, — გაცეთილი (ლექსი) — გარეანის მე-3 გვ. . . . .	
17. ვასართობი . . . . .	გარეანზე მე-4 გვ.

ჟურნალი დასურათებულია მხატ. ი. ქოქიაშვილისა და ვ. გვეტაძის მიერ, გარეანის — მ. თარიშვილის.

პ/მგ. რედაქტორი ბაბო შაბინაშვილი      პ/მგ. მდივანი ლ. ზიზინაძე

# ნახ. სერგო ორჯონიძე

18 თებერვალს საღამოთი შეწყდა ანხ. სერგო ორჯონიძის მახისცემა, გარდაიცვალა დიდი სტალინის თანამებრძოლი. საბჭოთა კავშირის ხალხმა დაკარგა დიდი მეგობარი, დიდი მებრძოლი.

აღარ არის ყველა ბავშვისათვის ახლობელი, მშობლიური ძია სერგო. იგი უდროოდ გამოაკლდა სტალინურ მებრძოლთა რიგებს. გარდაიცვალა მაშინ, როდესაც მის მჭქეფარე, მუღამ ახალგაზრდულ ენერჯის კიდევ ბევრის, ძალიან ბევრის გაცემა შეეძლო. ოთხი თვის წინათ სერგოს 50 წელი შეუსრულდა. ეს დიდი ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა. ანხ. სერგოს 50 წლის შესრულება პირდაპირ სახალხო დღესასწაული იყო. მაშინ ჩვენ გეტაცებდა ანხ. სერგოს პირადი მეგობრების, მუშების, სტახანოველების მოგონებები, ჩვენ გვეფურთოვანებდა ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის იშვიათი უბრალოება, არაჩვეულებრივი თავდაპლობა.

მას მარტივ გულით უყვარდა სოციალიზმის დიდი შენობის, ყველა მშენებელი, უჩვეულო სინაზითა და მზრუნველობით ეპყრობოდა მათ, ამავე დროს მთელი გულით სძულდა ამ საქმის ხელის შემშლენი, კლასობრივი მტრები და მათი დამქაშები, სძულდა ისინი, ვინც ლალატობდნენ მუშათა კლასს, ლალატობდნენ და ყიდდნენ სამშობლოს, ძირს უთხრიდნენ დიდ საბჭოთა ოჯახს, რომელსაც სერგომ მთელი თავისი ლაშაზი სიკოცხლე შეელია.

სერგო—აქ ეძახდნენ მას, ეს მისი პარტიული მეტსახელია, ნამდვილი სახელი კი გრიგოლი იყო. იგი იმისთვის იბრძოდა, რომ ახალგაზრდობა ბედნიერი ყოფილიყო, რომ ბავშვებს ბედნიერი და სასიხარულო ბავშვობა ჰქონოდათ. მისი ბავშვობა კი არ იყო სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე. დედის ალერსიკი არ ახსოვდა მას.

გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიძემ სოფელ ლორეშაში დაიბადა (ორჯონიძის, ყოფილი ხაჩავაძის რაიონი) სამი თვისა იყო, დედა რომ გარდაეცვალა, შემდეგ დეიდასთან იზრდებოდა. ნათესავების დახმარებით დაამთავრა ორკლასიანი სასწავლებელი და მათივე დახმარებით



თბილისის საფერწლო სკოლაში მოეწყო, აქედან იწყება სერგოს შეურიგებელი ბრძოლა მეფის მთავრობასთან. 19 წლის სერგო გატაცებულია რევოლუციური მუშაობით, ის უკვე პარტიის წევრია, ბოლშევიკია. ამის შემდეგ მთელი მისი მშვენიერი სიკაცხლის ყოველი წუთი უკანსენელ ამოსუნთქვამდე დაკავშირებულია ბოლშევიკური პარტიის საქმესთან, დიდი ლენინის, დიდი სტალინის

საქმესთან. თავისი ცხოვრების საგრძნობი ნაწილი, მთელი 8 წელიწადი, მან საპატიმროებსა და გადასახლებაში გაატარა. აწამებდნენ ციხეებში სერგოს იმიტომ, რომ მას მთელი არსებით სძულდა მეფის მთავრობა და იბრძოდა სოციალიზმის საქმისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ანხ. სერგოს სახელთანაა დაკავშირებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, ლენინსა და სტალინს სერგო უგზავნის დეპეჩას: «თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალეს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!»

სერგოს სახელთანაა დაკავშირებული ამიერკავკასიის ხალხთა—სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მშრომელთა შორის ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

უკანსენულად ანხ. ს. ორჯონიძემ იყო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი. მის სახელთანაა დაკავშირებული სტახანოვეური მოძრაობა, იგი ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი იყო.

... და ის ეს დიდი, საყვარელი ძია აღარ არის დღეს, მისი ყოველთვის მოციხარე თვალები საშუღამოდ დაიხუჭა. ის წაიდა ჩვენგან. საბჭოთა კავშირის მშრომელები დასტორიანთა ვიანთ საყვარელ სერგოს.

... და თქვენ, ბავშვებო, უნდა შეისწავლოთ მისი შესანიშნავი ცხოვრება, ისეთი მჭქეფარე ენერჯიით იმუშაოთ კომუნისმის საქმისათვის, როგორც მუშაობდა ძია სერგო.



# ვისი კორტრატი?

— მამილო, ვისი სურათია ეგა, ძია ლენინისა და ძია სტალინის სურათებს ქვემოთ რომ ჰკიდებ? — ეკითხება გიგოს შვილი წლის ბესიკი, რომელიც ესეცაა შევარდა ოთახში თოვლის გუნდაობით დაღლილი.

— აქვე წერია, შვილო, მისი ვინაობა. აბა წაიკითხე?

— შო-თა რუს-თა-ვე-ლი... — წაიკითხა ბავშვმა მარცვლებად.

— მამილო, ვინ არის შოთა?

— ვინა და საქართველოს უდიდესი პოეტი, მწერალი.

— უჰ, რა უცნაურად აცვია! რა მაღალი ქული ხურავს, ფრთავარკობილი თვითონ კი მეტად ლამაზია... მამილო, მომიყვივო მაგის ამბავი.

— სიამოვნებით, ჩემო ბიჭო; ხოლო მარტო შენ არა. წადი, შენს დებსაც დაუძახე.

— ახლავე, მამილო! — ამ სიტყვებით ბესიკი ციბრუტივით გავარდა გარეთ და ვადასძახა დებს, რომლებიც ეზოში გუნდაობდნენ გაცხარებით:

— ქეთო! მარო! ამოდით მაღე! მამიკო გვიყვება ამბავს ძია შოთაზე.

რვა-ცხრა წლის გოგონებმა სწრაფად გაიბერტყეს თოვლისაგან ქუჩუჩა თმები, ზედა სამოსი და აწითლებულნი ელვის სისწრაფით გაჩნდნენ ოთახში, სადაც მათი ყურადღება მაშინვე მიიზიდა დიდი პოეტის სურათმა. მიცვიდნენ და ხმამაღლა წაიკითხეს: შოთა რუსთაველი.

— ვინ არის, მამილო, ეს მშვენიერი ძია? ხომ ცოცხალია? — შეეკითხნენ გიგოს ორივენი.

— არა, შვილებო! ჩვენი დიდებული პოეტი შოთა რუსთაველი ცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს. წელს სრულდება 750 წელი შოთას დაბადებიდან და ამის აღსანიშნავად დიდი ზემოთ ემზადება არა მარტო საქა-

რთველო, არამედ მთელი საბჭოთა კავშირი.

ბავშვები შემოჰხვეოდნენ ტახტზე მჯდომარე გიგოს და გულმოდგინედ უსმენდნენ.

— მამილო, „ვეფხისტყაოსანი“ ლექსად არის დაწერილი? — შეეკითხა მარო.

— კი, შვილო, გრძელი ლექსია, მეტად ბევრი ამბავია ერთიმეორეზე გადაბმული და ლექსად თქმული. ამ თხზულების ენა მეტად მდიდარია, მხატვრული და ფერადოვანი, ლექსი მეტად საამო სასმენია და მშვენიერად გართმული. ამ ნაწარმოებში უხვდაა სიბრძნე ჩართული. შოთა რუსთაველი ცნობილია ერთერთ უპირველეს პოეტად მთელ ქვეყანაზე. — ბავშვები გაოცებით შესტყვიოდნენ მამას.

— მამილო, რუსთაველი შოთას გვარია? — შეეკითხა ქეთო.

— არა, შვილო, შოთას გვარი დღესაც არ იცან.

— მამილო, რად დაარქვა შოთამ თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“? — შეეკითხა ბესიკი, რომელიც აქამდის მღუმარედ იჯდა სმენად ქვეული.

გიგომ ღიმილით დაძახდა ბავშვს და უპასუხა.

— ჩემო ქვიანო ბიჭუნა, „ვეფხისტყაოსანი“ ეწოდება ამ ნაწარმოების გმირს ტარიელს, რომელსაც ვეფხის ტყავი აცვია:

— აბა რად ეცვა ვეფხის ტყავი? ან სად იშოვა? — შეეკითხა ისევ ბესიკი.


— გმირი ტარიელი ველად და კლდე-ღრეებში დიდხანს ეძებდა თავის დაკარგულ საცოლეს, მშვენიერ ნესტან-დარეჯანს. ამ ძებნის დროს დაეხა ტანსაცმელი, ამი რომ მოკლა ვეფხი, გაატყავა, ამ ტყავიდან კი ღობილმა ასმათმა შეუკერა ტანისამოსი.

— ვეფხი ხომ მეტად ღონიერი ცხოვე-

ლია! როგორ მოერია ტარიელი?! — გაიოცა ქეთომ.  
— მართალია, ჩემო ქეთონო! ვეფხი მეტად სწრაფი და ღონიერი ნადირია, მაგრამ გმირი ტარიელი ლომსა და ვეფხზე უფრო ძლიერი იყო. იმათ აღვილად ეწოდება და ხოცავდა არა მარტო შვილდ-ისრით, ხმლითა და ხანჯლით, არამედ ხელითაც კი. ასეთივე ღონიერი იყვნენ ტარიელის ძმადფიცულნი — ავთანდილი და ფრიდონი.

— მოგეყვები, მამილო, ტარიელისა და მისი ძმადფიცულების ამბავი, — შეეხვეწა მარო.

— კი, ჩემო გოგონა. „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსს შემდეგ გვიამბობთ, ახლა კი დავამთავროთ ამბავი თვით შოთას შესახებ. რუსთაველის უკვდავი პოემა თარგმნილია რუსულად, უკრაინულად, სომხურად და ევროპულ ენებზე, მაგალითად: ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, პუნგრულად და სხვა. ყველას ფრიად მოსწონს ეს თხზულება და აღტაცებული არიან. ერთი სიტყვით, ბავშვებო, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ქვეყნის უძვირფასესი საუნჯეა, თვით შოთა რუსთაველი კი ქართველი ხალხის სიამაყეა. ამიტომაც ქართველ ხალხს მეტისმეტად უყვარს იგი და იზუპირებს მის ტკბილ ლექსებს. როგორც ძველად, ისე დღესაც სოფლებში, გლეხის სახლებში ზამთრის გრძელ ღამეში მიმსდარა მუცეცხლთან მთელი ოჯახი და სულგანაბული ისმენს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას. არა იშვიათია ჩვენში ისეთი კლამურნი ან მუშა, რომელიც ზეპირად გვეტყვის მთელ ფურცლებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ასე საყვარელია შოთას ღიღე-



ბული ნაწარმოები, რომელიც შვიდასწორად ზე მეტია რაც დაიწერა.

გიგო ღუმდა. შვილები შესტკეროდნენ მას თვალეში.

— მამილო, შენც ხომ გაქვს „ვეფხისტყაოსანი“, წავგიკითხე! — შეეზღუდარნენ ბავშვები.

— კი, ჩემო ძვირფასო ჩიტუნებო! როგორ არა მაქვს შოთას პოემა! მაგრამ ამ წელს გამოვა ახალი გამოცემა, სურათებით. იმას ვიყიდი და იკიდან წავგიკითხავთ ზოგიერთ ადგილს, თანაც ავიხსნით გაუგებარ სიტყვებს. ასე, ჩემო გვრიტებო! დღეს ეს ვიკმაროთ. ახლა კი გასწით და იგუნდაეთ.

ბავშვები ჟივილ — ხივლით გაცვივდნენ თოვლის ბაბუსს საკეთებლად.



თოვლის ნამცეცა ფიფქები  
 ყინვის ალერსით ვალმასობთ,  
 ციდან იმიტომ ვიფრქვევით  
 ზამთარი გაგილამაზოთ.

ხელიხელ გადახვეულებს  
 მიწისკენ მოგვიხარია,  
 ვეშვებით ჩქარი ფერხულით,  
 გნატრობდით დიდი ხანია!

თეთრად დაფარავს მიდამოს  
 ჩვენი ქათქათა კაბები,  
 შორიდან ნამგზავრები ვართ,  
 შრიალით ჩაიწინებებით.

მოარბენიეთ, ბალღებო,  
 ციგა და თხილამურები,  
 იყრიაშულეთ, გაგვართეთ  
 თქვენი ფაქიზი სტუმრები.

თორემ თუ ნისლი გაბაცდა,  
 ზამთარი ბრწყინავთვალემა  
 აიკრავს გულა-ნაბადს და  
 წლის სავალს გაგვეპარება.

ჩვენ კი მზის სხივებს შევერჩებით  
 სათუთი, სიფრიფანები,  
 მეც, ალბათ, სადმე შევშრები  
 ან ცვარად ჩავექანები.

ჯერ კი ხელგადახვეულებს  
 სიმღერით მოგვიხარია,  
 ჩქარი ფერხულით ვეშვებით,  
 გნატრობდით დიდი ხანია.

თოვლის ნამცეცა ფიფქები  
 ყინვის ალერსით ვალმასობთ,  
 ციდან იმიტომ ვიფრქვევით  
 ზამთარი გაგილამაზოთ.

ალ. ბილაინიშვილი



ჩემი მურა, ჩემი ძაღლი,  
 ჭკვიანია. ფრიალ კარგი,  
 მშვეგობრობს და მეც ვშვეგობრობ,  
 ვით ამხანაგს ამხანაგი.

სკოლაში რომ მივალ დილით,  
 ჩემთან ყოფნას მუდამ ცდილობს,  
 უსათუოდ ჭიშკრის კართან  
 მურამ უნდა მიმაცილოს.

რომ ვბრუნდები უკან, შინა,  
 ისევ მხვდება კულის ქნევით,  
 ვითომ უნდა რალაც მითხრას,  
 მიალერსებს, მლოკავს ენით.

ყველაფერი ესმის მურას,  
 თანაგრძნობა, თუნდაც დარდი,  
 და გაბუტვაც იცის მაშინ,  
 თუ დატუქსე, გაუჯავრდი.

# დაშლენი ტყეხნი

ა. ს. კუშკინს.

(ურითმო ლექსი)

შენ ჩირაღდანი არ გპერია ხელში, პოეტო,  
შენ თვით იყავი ჩირაღდანი... და გენთო ცეცხლი  
თმებზე, თითებზე. ანათებდი შუქჩამკვლარ რუსეთს.

შენ ცეცხლი იყავ! ანთებული ვილოდი ქვეყნად  
და ნაპერწკლები იმ ცეცხლისა ხალხმა ბეჩაემა  
ჩამოირიგა სათითაოდ. მკერდში ჩაინთო.

შენ ცეცხლი იყავ... და ჩაგაქრეს ხელით ძლიერით,  
ფერფლად აქციეს შენი გული აღმოდებული,  
ჩუმაღ წაგიღეს და დაგფალეს. ო, პუშკინ! პუშკინ!

მაგრამ ის ცეცხლი ნავლწყარილი დღეს ისევ ბრწყინავს,  
გვათბობს, გვაკაეებს. რა იცოდნენ იმ ვერაგებმა:  
დაფლული ცეცხლი, ჩვენო პუშკინ, უფრო დიდხანს ძლებს.

ბორის ჩხეიძე

## ბ მ მ ბ რ ა

მრავალსართულიანი სახლის ეზოში სა-  
ცქაოდ გაქალაქებულ მჩეჩქმე დეროს  
ფარდული და დაზგა ჰქონდა გამართუ-  
ლი. ის დილაადრიან იწყებდა შრომას  
და საღამოს გვიან ათავებდა. დეროს მუშ-  
ტრები ეზოს მდგმურები იყვნენ. არავის  
ახსოვს, რომ რომელიმე ფეხსაცმელი დაე-  
წუნებოდას სიძველით და შინ ახალს და-  
გვანებული არ გაეტანებოდას პატრონი-  
სათვის.

არაფინ არ ჰყავდა დეროს — არც ცო-  
ლი, არც შვილი, არც ნათესავი. მეგო-  
ბრებიც მუშტრებით ამოიწურებოდა. ვი-  
ნაც კარგად იცნობდა მას, ამბობდა: მე-  
ჩეჩქმე წარსულ ცხოვრებაზე ვაჯავრებუ-  
ლია და ასე მარტოდ იმიტომ ცხოვრობ-  
სო. მართლაც ამის დასამტკიცებლად დე-  
რო თავის დასახიჩრებულ ფეხებს უჩე-  
ნებდა ყველას, მერე იმპერიალისტური

ომის წამომწყებთ ისე შეუკურთხებდა,  
როგორც მჩეჩქმეებს შეეფერებათ, და გაჩუ-  
მდებოდა. ფეხები ომში დაჰშავებოდა.

დეროს ერთი ყველაზე უფრო დაახ-  
ლოებული მეგობარი და მესაიდუმლე  
ჰყავდა — ეს იყო ბომბორა ძაღლი, რა-  
მელიც იმ ეზოდან გადასულ მდგმურს  
აქ-დარჩენოდა და დეროს შეჰხიზნებოდა.

არაფერი შურდა მეგობრისათვის, აქ-  
მევედა და ასმევედა. ყოველ წელს ახალ-  
ახალ საყველეს უტკვლიდა და ნიკელით  
მოვარაყებულ ნუმრებს ზედ ჰკიდებდა.

უქმე დღეს სასიერნოდ დადიოდა ოქ-  
როყანის მაღლობებისაკენ, მეგობარიც  
თან დაჰყავდა. როცა მაღლობებს შემო-  
ვილიდნენ და სიცხეც დააქერდა, ლელეთა-  
ხევში ჩადიოდნენ. აქ ის ბომბორას ბან-

და და კლდის ფლატეს ჩრდილში ის-  
ვენებდა. მზის ჩასვლისას ერთს კიდევ  
გასეირნებდა ბომბორას და ელექტრო-  
ბით გაბღღოვებულ ქალაქს რომ და-  
ხედავდა, გულს ბოლმა შემოაწვებოდა. გა-  
სეირნება ხშირად იმით თავდებოდა, რომ  
დგრო უენო მეგობარს მოუთხოვრებდა თა-  
ვის ამბავს. ამ დროს ძაღლი, წინათაებ-  
დაბჯენილი, თვალებს ამრიალებდა და  
პატრონს ხელებს ულოკავდა.

ერთხელ, როდესაც, ჩვეულებრივად,  
დგრომ პური და ყველი ჯიბეში ჩაიღო  
და დაუსტვინა, ბომბორა არ გამოჩნდა.  
ფარდულის უკან იწვა, იზმორებოდა და  
თვალებს ხუჭავდა. ღამე ჯერ წკავწკავებ-  
და, შემდეგ კი მოუსვენრად ყმუოდა.

ეს შეუნიშნავი არ დარჩათ მდგმურებს,  
ხომ არ გაცოფებულაო? — კითხულობდნენ  
და საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე  
გაფრთხილეს. დგრომ შენიშნა მდგმურე-  
ბის უკმაყოფილება და დლითვე ცალ-  
კე საწოლი მოუწყო ბომბორას. სანქა-  
როდ ბეითალიც მოიყვანა, გაასინჯვინა  
მეგობარი. ბეითალმა ცოფი არ დადას-  
ტურა, მაგრამ დგროს შემდეგი სიტყვა  
უთხრა:

— ბომბორა მოხუცებულია, წაიყვა  
სადმე, მოკალი, ან ვალიამ როცა ჩა-  
მოიაროს, გაატანეო.

— მოგვაშორეთ ძაღლი, თორემ ვიჩი-  
ვებთ! — დამუქრა საბინაო ამხანაგობის  
თავმჯდომარე დგროს მდგმურების სახე-  
ლით. მეტი რაღა გზა იყო. ნაშუადღევს  
პატრონმა თავის ბომბორას გრძელი  
ღვედი მოაბა ყელზე და კოჯრის  
გზისაკენ წაიყვანა. აქ ერთ მივარ-  
დნილ და ღორღინ ხრიკში ჩაიყვანა,  
ბურღს მიაბა და რკინის ძელი ასწია,  
რომ მეგობრისათვის შუბლში დაეცა და  
მოეკლა.

მაგრამ მეჩქემეს ღონემ უსუსტა, დიდი  
ხნის შეჩვეული ცხოველი ვერ გაიშტა  
და გაფითრებულმა ჩაილულულა:

— ჩემო ბომბორა, მე ვერ მოგკლავ,  
ისევ შენი დლით მოკვდი. ჩემი ბრალი  
არაა, მეზობლებმა არ დაგინდეს...



მიბმული ღვედი დგრომ კიდევ უფრო  
დაამაგრა და გულამღვრეულმა გამოსწია  
შინისაკენ.

ბომბორას რომ ვეღარ ხედავდა, დე-  
როს გული ეკუმშებოდა. მარტოდ დარ-  
ჩენილი ფიქრები შემოაწვა. აი ოცი წლის  
წინათ ის მხნე, ჯანმავარი და თავმო-  
წონე ვაჟაკი იყო. ადგლხანოვის ქარხანა-  
ში მუშაობდა. ცოლიც ჰყავდა და შვი-  
ლებიც. ერთ დღეს ყველაფერი დაატო-  
ვებინეს და იმპერიალისტურ ომში წაი-  
ყვანეს. სამი წელი გამოუნელებელ ტყვის  
წვიმაში და ზარბაზნების ცეცხლში გაა-  
ტარა. იქიდან დასახიჩრებული ფეხები  
ჩამოჰყვა და გულის გამაწვრილებელი  
რევმატიზმი. ცოლი ტიფს ემსხვერპლა და  
ბავშვები ქუჩაში დახოცილიყვნენ უპატ-  
რონოდ. ამ ფიქრში ვართულმა ხელი  
ჯიბისკენ წაიღო: ქალაღდის ფულის  
ფართო საფულეში ედო გარდაცული  
ცოლ-შვილის სურათი და ერთი კიდევ  
უნდა დაეხედა, რომ ჯავრი გაექარვე-  
ბინა. საფულე ჯიბეში აღარ იყო. შეწუხ-  
და დგრო. ბევრი ეძება ფარდულსა და  
უთებში საფულე და ვერსად აღმოაჩინა.  
დღონდა მეჩქემე. აღარც სურათი ჰქონ-  
და და აღარც ბომბორა ჰყავდა. მიწვა და  
მკვდარივით მიიძინა.

თავატკივებული დგრო ნაშუადამეც  
კარებზე ფხაჭუშმა გამოაღვიძა. ფხაჭუნს  
ნაცნობი ყვეფაც მოჰყვა.



გახარებული წამოვარდა და კარი გაა-  
ლო. მის წინ თავჩაღუნული ჩაცუცქუ-  
ლიყო საყვარელი ბომბორა. იქვე ძირს  
კი ღვედის ნაღვეები, საფულე და პატა-  
რა ახლადთვალახელილი ბომბორას ჯი-  
შისავე ლეკვი იყო.

დერო საფულეს დასწვდა და გულის-  
ფანცქალით გახსნა. სურათი შიგ იყო.  
ახლა გაახსენდა მხოლოდ, რომ იქვე და-  
ვარდნოდა საფულე, სადაც ბომბორა  
დააბა და დატოვა. სურათი რომ შეი-  
ნახა, ლეკვსა და ბომბორას საქმელი შეს-  
თავაზა და რადგან გათენებულებო, ბა-  
ზარში წასვლა დააპირა. ბომბორამ თა-  
ვის რჩეულ ადგილს მიაშურა და ლეკვი-  
ანად იქ დაწვა. დერომ ტომარი გადააფა-  
რა ორივეს და თითონ გასწია.

როცა დაბრუნდა, ბომბორას ხორცის ნა-  
კრები მოუტანა, საწოლს მიაშურა, ტო-  
მარა აიღო და იქ მარტო ლეკვი დაუ-  
ხვდა. ბომბორა დასტვენაზედაც არ გა-  
მოჩნდა. შემდეგ ამაოდ ეძება ქუჩებში.  
ძაღვების დამკერებსაც კი მიმართა, მაგ-  
რამ არც არაფერი აქ გამოვიდა. დიდ სა-  
ჩუქარს დაჰპირდა მეზობლის ბავშვებს,  
რომლებიც ძაღლს მოსძებნიდნენ და მოუ-  
ყვანდნენ. არც ამან გაქრა. ბომბორა  
დაიკარგა.

უეცრად დეროს რაღაც აზრმა მოუარა  
და საჩქაროდ გასწია მადლობისაკენ.



იქ გულშემზარავი სურათი დაუხვდა:  
მკედარი ბომბორა ბურღსა და ლორღს  
შორის ეგდო. დაენანა და იჯავრა მეგო-  
ბარი. შემდეგ საღლაც ბარი იშოვა, ორ-  
მო გათხარა, შიგ ჩააგდო და მიწა დაა-  
ყარა. ზემოდან კი ლოდი დაადო.

შინ რომ დაბრუნდა, ბომბორას მოყ-  
ვანილი ლეკვი დააპურა, მოუარა, მერმე  
მახლობლად მომუშავე ფოტოგრაფს  
კოლშვილის სურათი გასადიდებლად  
გადასცა. ლეკვს კი ბომბორა დაარქვა.

ინგო ნაკაშიძე

ჩვენ დაჰიკარგეთ<sup>1)</sup>

(დასასრული)

- აი, უსიკო, ხედავ, ესენი ბონჭრები არი-  
ან, შეც პიონერი ვარ.
- შეც! — თქვა რუსიკომ.
- დარბზული ბიონერები მწყრივად მიდიოდ-  
ნენ სიმღერით და მეორე ქუჩაში მიიპოლნენ.
- ჩემი და ცაციაოც პიონერია, — თქვა რუ-  
სიკომ და უცებ აღრიალდა. — შე შინ მინდა,  
მე დედასთან მინდა, ცაციაოსთან მინდა.

- მეც შინ მინდა, მე ბაბუმ არ დამიძახა! —  
ატრიადა ლეოც.
- თუ, თქვენ ტირით? აბა, რატომ ტირით, მო-  
ქალაქენო? — ჰკითხა მათ ერთმან ძიამ სიცილით.
- რუსიკომ ხელები გაასავსევა:
- მე დედა მინდა, მე ჰური მშოა.
- მე შინ მინდა, მე ბაბუმ არ დამიძახა, —  
თქვა ლეომ სლუკუნით.
- შინ გინდათ და წაგიყვანთ, — უთხრა ძიამ,  
ბავშვები ერთმანდალ დაჩუმდნენ.

<sup>1)</sup> დასაწყისი იხ. ჟურ. „ოქტ.“ №1.

- აბა, სადაა თქვენი ბინა? მითხარით.
- ჩემი ბინა აი იქ არის, თოვლის დიდი კაცი რომ არის,—უთხრა ლეომა.
- მაშ აი აქვე უფვილა თქვენი ბინა,—უთხრა ძიპა, წაიყვანა ბავშვები და შეყვანა იქვე ახლოს დიდ ეზოში, სადაც შუა ადგილას დიდი თოვლის კაცი იდგა ნახშირისთვალეებიანი და ჩხირებისკბილეებიანი.
- არა, იქ არ იყო ლეოსა და რუსიკოს სახლი.
- ჩვენს ეზოში წითელარმიელია,—თოვლის კაცი, თოფიანი. მუროაკი არის,—ამბობდა ლეო.
- ბედურებიც არის,—დაუმატა რუსიკომ.
- მაშ სად არის თქვენი სახლი?
- აი იქით.
- იქით ხომ ორჯონიკიძის ბაღია... აბა, ახლა თქვენი სახელი მითხარით,—ჰკითხა ძიპამ.
- არ ვიცი, არ ვიცი,—ატირდა ისევ რუსიკო.
- არც შენ იცი, ბიჭიკო?
- მე ლეო ვარ, ეს უსიკოა.
- რა გვარი ხარ?
- მამას გვარი ვარ, მამასი.
- მამას გვარი? — დაფიქრდა ძიპა, — თქვენ, გეტყობათ, დაკარგულხართ, მოქალაქენო, ა? მაგრამ არა უშავს. წაედეთ, მოგნახოთ მამა.
- ძიპა აიყვანა ბავშვები, ჩასვა ტრამვაიში წინა ადგილას, თვითონაც მათთან დადგა და გასწიეს. ლეო ვახალისდა ტრამვაიში, რუსიკო კი აღრიალდა.



- არ მინდა ტრამვაიში, მე შინ მინდა, დღესთან — იძახდა ტირილით.
- სუ, უსიკო, ხედავ, რა კარგი ძიპა, მილიციონერია, ჩვენ სახლის პირდაპირ ჭიქაში რომ დგას, ხელემს რომ აქნეფს, არ იცი?
- რომ ტრიალებს, ბავშვები არ გაიტანოს ავტომო? — გაკვირვებით შეხედა რუსიკომ ძიპას და დაღუშდა.
- მილიციონერმა მიიყვანა ბავშვები უბნის სამილიციო განყოფილებაში.
- აი, ბავშვები პროცესიან, დაკარგულან. ახლა ამითი შშობლები გამწარებული ეძებენ, უთუოდ, ამით, — უთხრა მან, შევიდა თუ არა, მეორე ძიპას, რომელიც მაგიდასთან იჯდა.
- გაიყვანე ბავშვების ოთახში, — უთხრა მას მეორე ძიპა. ბავშვები გაიყვანეს თეთრად შეღწეული ოთახში. შიგ იდგა ტახტა, თეთრი დაბალი მაგიდა და პატარა ტაბურეტები. კედელზე ბელადების დიდი სურათები და ღამაზად დახატული ბავშვების სხვადასხვა ნახატი ეკიდა. ოთახში თეთრად ჩაქმული თეთრმოსახვევეანი ქალი მიეგება მათ.
- სად იპოვენ ეს პატარები, ამბანაგო, ხომ არ დაკარგულან? — ჰკითხა მან მილიციონერს.
- ჰო, დაკარგულან. ისეთი პატარები არიან, რომ თავიანთი სახელების მეტრ არაფერი იციან, აბა, დანაყრეთ, ანა. მთავარ სამმართველოში დავრეკავთ, უნდა შევატყობინოთ, რომ ბავშვები აქ არიან.
- აბა, ლეო და რუსიკო, — თქვენ აქ იყავით, მე ახლავ მამას მოვიყვან, — მიუღწერს ბავშვებს და გავიდა. მაგიდაზე გაჩნდა თბილი რძე, ფუნთუში კარაქით, ანაპ ვახალისდა ლეოსა და რუსიკოს პალტოები, კალოშები, შემოხსნა ყაბაღახი, ორივეს დაბანა თბილი წყლით ხელები და დასვა მაგიდასთან. ორივენი მადლიანდ შეუღღნენ ჭამას. რუსიკომ დაღერმილი იყო და ცრემლებით ჰქონდა თვლები სავსე. ლეოსაც ტუჩები ებრიცებოდა.
- აი, უსიკო, ეს ძიპა სტალინია, — უთხრა ლეომ რუსიკოს და შეახედა სურათზე. — ჩვენ გვაქვს ამისთანა სურათი სახლში. მე მიყვარს ძიპა სტალინია.
- მეც, — თქვა რუსიკომ.
- ყოჩაღ, რომ გიყვართ ძიპა სტალინია. სტალინსაც ძალიან უყვარს ბავშვები, — მიუღწერსა მათ ანამ.

რუსიკოს უკვე თვალები ეხუტებოდა. ანამ  
აიყვანა და ტახტზე დააწვინა.

მოსაღამოვებული იყო, როდესაც მილიციის  
უბანში ბავშვების ოთახის კარი გაიღო და შე-  
შინებული და დაღლილი ქალი და კაცი შე-  
მოვიდა.

— ბავშვები აქ არიან?

— აქ არიან, უცებ არ გააღვიძოთ, შეშინ-  
დებიან, — უთხრა მათ ანამ, ლეოსა და რუსიკოს  
ორივეს მშვიდად ეძინა რბილ ტახტზე, რო-  
მელზედაც ანას თეთრი ზეწარი გაეშალა, და თა-  
ვებიც თეთრ ბალიშებზე ედოთ.

— ლეო!

— რუსიკო!

გაისმა მამისა და დედის გახარებული ხმა და  
შვიარდნენ ბავშვებს. გაიღვიძეს პატარებმა.

ლეო მზიარულად მოეხვია მამას.

— მამა, ჩვენ დავიკარგეთ, — ეუბნებოდა ის  
მამას.

რუსიკოც მოეხვია დედას და ატირდა:

— დედა, მე არ მინდოდა დაკარგვა

— არა უშავს, უსიკო, — უთხრა მას ლეომ,  
— ხომ მოვიდა შენი დედა შე ბაბუშ არ და-  
მიძახა.

— აბა, ჩიცივით, ჩქარა წავიდეთ შინ. დედა  
ტირის და ბაბუც ძალიან შეწუხებულია, — ამ-  
ბობდა მამა.

უკვე სრულიად ბნელოდა, როდესაც მამამ  
შხარზე შემჯდარი ლეო შემოაიყვანა ოთახში.



დედამ მაკრად ჩაიკრა გულში პატარა ლეო  
და უთხრა:

— აბა, როგორ დაიკარგე, ჩემო ლეო, დე-  
დამ ხომ იტირა.

— ხომ მოვედი, დედიკო! ბაბუ, მსენც იტი-  
რე? — ლეომ გასწრა ხელები ბაბუსაკენ.

ახლა ბაბუშ აიყვანა ბიჭუნა.

— მამა, ვიტირე, ბიჭუნა, ვიტირე...

— შენ რომ არ დამიძახე?

— დამეძინა, — ბიჭუნა, დამეძინა. ბებერი ვარ...  
და რომ გამეღვიძა, ეზოში აღარ იყავი...

— იქ წითელარმიელები მღეროდნენ, ბაბუ,  
უსიკომ კიდევ იტირა, — ეუბნებოდა ბაბუს ლეო.

— კიდევ კარგი, რომ კარგი დარი იყო, თო-  
რემ ამისთანა თოვლებკაპი რომ ყოფილიყო,  
ახლა ორამ არის, ხომ დაიკედებოდნენ ეს  
კულდატებო!

### ალექსანდრე სულავე

## ილია ჭავჭავაძე

რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი სამშობლოს  
მშრომელი ხალხი გადაიხდის დიდწინაშეწოდებულ  
იუბილეს — გამოჩენილი ქართველი მწერლის ილია  
ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის თავს.

ილიას სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ჩვე-  
ნი ქვეყნისათვის, მით უმეტეს, რომ იგი ვერა-  
გულად მოკლეს ხალხის მტრებმა — თვითმპყრო-  
ბელობის შეებნელმა ძალებმა.

ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს დიდი მწე-  
რალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

ილიას მოღვაწეობა მოუხდა იმ პერიოდში,  
როცა ბატონყმობის გადადარდნა მოახლოვებუ-

ლი იყო და ილიამაც სწორედ მის წინააღმდეგ  
აიმაღლა ხმა. მან უშეანისშავისად დახატა ბა-  
ტონყმური უსამართლობისა და სამადგლოშის  
სურათი.

ილია ჭავჭავაძეს წაეღო — განათლება მიღე-  
ბული ჰქონდა რუსეთში, სადაც იგი გაცნო  
მაშინდელი დროის მოწინავე აზრებს და ამ აზ-  
რებით გამსჭვალული სამშობლოში დაბრუნები-  
სას შეუდგა ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის.  
ამ ბრძოლის საგანს იმთავითვე წარიადგენდა  
ბატონყმობის უარყოფა, გლეხობისადმი გამოსა-  
რჩლება, სამშობლოს განთავისუფლება თვით-



შრომა, მოძრაობა, წინსვლა, თავისუფლება, მაგრამ მის ხელფებს უბოროტედა თვითმპყრობლობა და ბატონყმური ურთიერთობა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ილიამ შესანიშნავად აამეტყველა უბრალო მოხვეე, რაკა ათქვენი მას ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო», ბატონყმობის წინააღმდეგ კი კაკოსა და ზაქოსა გმობობა. ამასთანავე მან აჩვენა თავად-აზნაურობის დაცემისა და გადაკვირების მიხინჯი სურათი «კაცია ადამიანი» — ლუარსაბ თათქარძის სახით. ლუარსაბი ცხოვრებისათვის ზედმეტი ბარგია. ის მხოლოდ იმისათვის ცხოვრობს, რომ ქაშის, იძინოს და ბუზები თვალს. ილიამ ამით აჩვენა თავად-აზნაურობის გადაშენება, გადაშენების გზაზე დამდგარი წოდება კი ვერავითარ კარგ მომავალს ვერ მისცემდა ქართულ ხალხს.

ილია ქვეყანას ძალზე უყვარდა თავისი სამშობლო. იგი მის წინსვლაზე და განთავისუფლებასზე ოცნებობდა. მან ამ საკითხს უძღვნა მრავალი შესანიშნავი ლექსი, რომელთა შორის აღსანიშნავია «გახაფხული». ეს ლექსი ილიას ბავშვებისათვის არ დაუწერია, მაგრამ იგი თავისი მუსიკალობითა და სისადავით ბავშვებისათვისაც მისაწევლია და ერთი წაკითხვის შემდეგაც კი არ დაკვირვდება. ამ ლექსში შესანიშნავადაა გაოხნატული ოცნება და ნატყრა მამულის აყვავებაზე:

ტყემ მოისხა ფოთოლი,  
 აგერ მერცხალი ქუეის,  
 ხალში ვაზი ოპოლი  
 მეტის ღხენითა ტირის.  
 აყვავებულა მდელი,  
 აყვავებულა მთები,  
 მამულო საყვარელო,  
 შენ როსლა აყვავებდი?

ლექსი «ქართლის დედაში» ილია ქართველი ღირსის მოვალეობად თვლის სამშობლოსათვის ღირსეული შევლებების აღზრდას. ილია იმედს არასდროს არ კარგავდა. ვის არ სმენია ილიას სრტყეები:

«ჩემო კარგო ქვეყანა რახელ ოვიწყსია, აწმყო თუ არა გუჯალობს, მომავალი მგნებელს ილიას ბავშვებისათვის არ უწერია განსაკუთრებულად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი თელი რიგი უნიკერესი ნაწარმოებებია, როგორცაცა «კაკო ყაჩაღი», «კაცია ადამიანი», «თთარაანთ ქერივი» ბავშვებისათვისაც სასიამოვნო საკითხავია. ბავშვებისათვის ილიამ დაწერა და საბავშვო თურნალ «ჯჯილიში» დატყდა თავისი «ბახაღეთის ტბა». ამ ლექსში ილიამ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ჩაქსოვა. ილიას იმდენად ენატრებოდა თავისუფალი სამშობლოს ნახვა, რომ, რაკა იტალიაში სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაიწყო ბრძოლა ვაზიხლდამ, ილიამ დაწერა «მამის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკლის ხმა მტერვისა» და აქვე ინატრია: ნეტავ ეს ხმა ტყბილი გამავონა ჩემს მამულშიო.

ილია საერთოდ მონობის მოძულე ადამიანი იყო. ამიტომ მას, სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს, მონობისაგან ხალხთა განთავისუფლების ყოველგარი ცდა ახარებდა. რაკა პარაზის კომუნა დამარცხდა (1871 წ.), ილიამ დაწერა:

«ქელავ შეფერხდა ისტორია,  
 განახლებების შედგენე ძალნი».

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ილია იყო თავისი დროის დიდი მოწინავე პირიყენა. გარდა იმისა, რომ იგი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი იყო, ასეთივე ორატორი, პუბლიცისტი და რედაქტორი იყო.

ილია დაიბადა 1837 წელს ს. ყვარელში. იგი წიწმურში (მცხეთის ახლოს) მოქლის ჯალათებმა 1907 წ. 30 აგვისტოს.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ნორჩი თაობისათვის ილიას მემკვიდრეობა ის საუცხოო წყაროა, საიდანაც იგი მიიღებს წარსულში ხალხის ტანჯვასა და ბრძოლაზე წარმოდგენას და დატყდება შესანიშნავი ქართული მხატვრული ენით, მისი ძვირფასი მეტყველებით.





ხვალ, თებერვლის ოცდაცხრასა,  
არის ლეოს დაბადება,  
მთელი ღამე არა ძიხავს,  
საჩუქრები ელანდება.  
მაგრამ დილას რომ წამოდგა  
და აფურცლა კალენდარი,  
რასა ხედავს? არა სჯერა!  
თურმე უკვე მარტი არი!  
— დედა! დედა! როგორ მოხდა,  
ჩემი დღე რად გამოტოვეს?  
დამეკარგა „დაბადება“,  
რალას ვეტყვი დღეს ჩემს ტოლებს?

დედამ ლეო გულს ჩაიკრა,  
ებევე და ეცინება:  
— რა ექნათ, ლეო, კვლავ ოცდაცხრა  
სამი წლის შემდეგ იქნება.  
— მაშ ექვსი წლის უნდა დავრჩე?  
მე ლოდინი სულ არ მინდა!  
უნდა გავხდე შვიდი წლისა...  
და პატარა აქვითინდა.  
— შეიძისა ხარ, ჩემო ლეო!  
რათა სტირი? სირცხვილია!  
ხედავ, უკვე მოსალოცად  
ბებოს მოჰყავს ჩვენი ლია.

არნო ონელი

გაიზარლე დიდი ქალი

რა სწრაფი და რა მალთა,  
ბეჯითია, სკოლის თვალი!  
ჩემო კარგო ამალია,  
გაიზარდე დიდი ქალი!  
დილით ისე ადრე დგება—  
პირის ბანას ასწრებს ვერვინ,  
წილად ჰხვდება ბევრი ქება,  
საჩუქარიც ჰხვდება ბევრი.  
დედამ კაბა შეუცვრა,  
ნაძვის ხე კი მორთო მამამ,  
სახალწლო ლექსის წერა  
პიონერ მშას დააეღა.  
მართლაც, შენზე ალალია,  
რადგან კლასში არ გყავს ცალი!

ჩემო კარგო ამალია,  
გაიზარდე დიდი ქალი!  
გუშინ სახლში რომ მოხტოდა,  
იმღეროდა გზაზე თანაც —  
ფრიალებით მოხატული  
შინ ქალღიღადი მოიტანა.  
მოიტანა... და მიუღო ეზოს  
ეს ამბავი ემცნო ელვად,  
ზეიმს ჰგავდა ამღერებულ  
ამალიას გულის ღეღვა.  
დედის შეება — წამალია,  
სკოლის მზეა, სკოლის თვალი,  
ჩემო კარგო ამალია,  
გაიზარდე დიდი ქალი!



# ქალაქიან ხაზილი.

კინო ძლიერ მიყვარს, ბევრი კარგი სურათი მინახავს: „კაპიტან გრანტის შვილები“, „ახალი გულივერი“, „ქაჯეთი“, „ჩაპაევი“... ეს უკანასკნელი კი ყველაზე მეტად მომწონს. ჩვენს უბანში ბიჭები თავს რომ მოვიყრიოთ, ხშირად ვთამაშობთ „ჩაპაევიზას“, მე ყოველთვის ჩაპაევიზას მაკუთვნებენ, ქეოა ვარ და ცისფერთვალა: ძლიერ გავხარ ჩაპაევისო. ვნდავჯდები თუ არა ხის ცხენზე, ნმალს ვიშიშვლებ და გიყვარდეს—დავერფვი „თერებს“!

დღეს ერთი ახალი რამ გავიგე, ამბავი კინოსურათს ეხება. ჩემი ბიძაშვილი ჯოკიასაგან წერილი მივიღე, ჯოკიას რაღაც კინოსურათი უნახავს, რომელშიაც თითონ არის, თურმე, გამოყვანილი და მერე როგორ მომსდარა ეს? თუ უურს დაამივდებთ, ყველაფერს ვიამბობთ, მაგრამ, მგონი, აჯობებს, თუ თვით ჯოკიას წერილს წავიკითხავთ. აი ისიც.

„ძაბიკო სოსო!

წახველ და ერთი წერილიც არ მოიწერე. ნუთუ არ გავიხსენებ შენთვის, სოფელი და ჩვენი ბიჭობა, ცხენისწყლის ნაპირებთან რომ ვაღამებდით თევზაობაში, მახეები რომ დავავებთ ნათესებში. პური რომ გავთვლით და ბიძია გურგენმა რომ გვცემა? მე ის არასდროს არ დამაიწყებდა... შენ კი ერთ წერილსაც არ იწერები. ვითომდა რაო, ქალაქელი ბიჭი ვარო? მერე და რა მოხდა, მეც ხომ ვყოფილვარ ქალაქში, შარშან ჩვენებს არ ვახლდი თებერვლის ზეიშზე (დასასწრებლად)? აწი მანც მოიწერე წერილი...

ეუქუნა და მირიანი მოკითხვას ვითვლიან. ნეტავ აქ ყოფილიყავი დეკემბერში, არ დადევებზე. ნაძვის ხე მოვაწყვეთ სკოლაში. ბევრი სასუქარი დავეირიგეს—ფერად-ფერადი კამფეტები, ხამცხვრები და რომელი ერთი ჩამოვუთვალო. თანაც ბევრი ვიცეკვეთ, ვიმღერეთ და ვიმზიარულეთ.

მამა, დედა, ბიძია და ბიციოლებიც დავგესწრნენ. სკოლის დიდ დარბაზში კრებები რომ იმართება, იქ მოეწყო ნაძვის ხე. ჭერამდე სწვდებოდა, სულ სათამაშოებით იყო დახუნძული და ვლექტრობით გავაჩირაღდნეთ! ნაძვის ხის ქვეშ იღვა ბამბის ქულებიდან ვაკეთებული თეთრი ბაბუა, ვეება წვერებით, სწორედ ისეთი, შარშან სკოლის ეზოში რომ მოვაგუნდავით თოვლისაგან.

იმ დამეს სოფელში თოვდა, ქარბუქიანი დამე იყო, ბარაქიანად ბარდნიდა და გამუღმებით უსტვენდა დეკემბრის ცივი ქარი... ჩვენ კი თბილად და მზიარულად ვიყავით სკოლაში ნაძვის ხესთან. ახლომანლო კოლმეურნეობის წვერები სულ აქ მოვიდნენ და ჩვენს ზეიშს ესწრებოდნენ.

მე ლექსები წავიკითხე ძია სტალინზე.. ყველას მოეწონა და ტაშით დამაჯილოდოვენ... ეუქუნას კი ორჯერ შეეძალა და ამიტომ ახლა ხშირად ვაჯავრებთ მას მე და მირიანი, ყოველთვის ლაპარაკში მოვაგონებთ იმ სკოლაში.

„ა, ეუქუნა, გოგო, როგორ არის ის ლექსი, ნაძვის ხეზე რომ წაიკითხე? სწორედ კარგი იყო“...



გაჯერდება და მოჰყვება ბუზლუნს: თქვენ უსინდისოები ხართ, მე თქვენ წმას არ გაგცემთო. მეორე დღეს ყოველივე დაავრწყდება და ისევ მხიარულად მოგვამართავს:

— ბიჭებო, ჯოკია და მირიკო, წამოდით, ცუგრია და ფისო გავახავოთ.

ცუგრია სულ გაგიყდა. ამოდენა გაიხარდა, მაგრამ სულ არ ასვენებს საწყალ ფისოს. უკანასკნელ ხანებში ცუგრიასა და ფისოს შორის დამოკიდებულება უფრო მწვავედება. ფისომ თავდაცვის ახალ ხერხს მიმართა: როცა ცუგრია დაედევნება, ის სახლის წინ ვაშლის ხეზე შეასწრებს, გამაგრდება იქ და არის არხენინალ. ქვევით ცუგრია ყვეს, პირვეულობს, მაგრამ ამოაღ...

გუშინ სოფელში ხმოვანი კინოთეატრი გაიხსნა, თებერვლის საზეიმო სხდომაზე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. ისეთი კარგი შენობაა, ისეთი, რომ ტფილისშიაც არ იქნება უკეთესი. საღამოს მთლად ჩვენი სოფელი იქ იყო... ზეიმზე პიონერების სახელით სიტყვა მირიანმა თქვა.

ბოლოს აღმასკომის თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— ამხანაგებო, ახლა ჩვენს კინოთეატრში ნაჩვენებია იქნება ხმოვანი კინოსურათი „თებერვლის ზეიმი ტფილისში“.

მაღე ყველა დაწყნარდა. სინათლე ჩაქრა, და ტილოს ეკრანზე გამოჩნდა ტფილისი... მტკვარი... მთაწმინდა და შემდეგ რუსთაველის პროსპექტი, სავსე დემონსტრანტებით, დრომებით და პლაკატებით. შარშან ჩვენც იქ ვიდექით — მე, მამა, ჩვენი თავმჯდომარე, პოლიკარავე კვახტირელი, ზოსიმე ბაჩილავა, ტარასი თორაძე და ბიცოლა ფედოსი. მე ხელში პლაკატი მეჭირა, რომელზედაც ეწერა: „სოფელ ლეხანდრავას კოლმეურნეების ერთი ჯგუფი, რომლებიც ჩამოვიდნენ ტფილისში ზეიმზე დასასწრებლად“.

ახლაც რუსთაველის პროსპექტზე მოჩანდა ზღვა ხალხი — პლაკატებით, დროშებით, დიდი ბელადის სტალინის და მისი თანამებრძოლების სურათებით.

შემდეგ გამოჩნდა თავისუფლების მოედანი, მუაგულში ტრიბუნა, რომელზე-

დაც დგანან ძია ვოროშილოვი, ძია ლაურენტი და ილიძეებიან.

მოედნის ერთი მხრიდან ცხენოსანმახლებამოწყვდილი წითელარმიელები მოაუქნებენ გათქერიულ ცხენებს, ძია ვოროშილოვი ხელს მაღლა წევს და ესალმება მათ.

— ვაშა... ვაშა... ვაშა... — გუგუნებს მოედანი. ჰერს მთარღვევენ დაჯავშნული ტანკები, მოგროხუნებენ ქვემეხები, გრიალებს დაუსრულებელი „ვაშა“. ცაზე წეროებივით გაბაწრულან თვითმფრინავები და დასტრიალებენ ხალხით სავსე მოედანს.

აგერ მოჩანს პატარა ბიჭი, წინ მოუძღვის ერთ ჯგუფს პლაკატით ხელში. ძია ლაურენტი ილიძეა და ესალმება მათ.

— გაუმარჯოს კოლმეურნეებს, წინ, შეძლებული ცხოვრებისაკენ“

— ვაშა... ვაშა... ვაშა... — უპასუხებენ კოლმეურნეები. პატარა ბიჭი ილიძეა, ხელს მაღლა წევს და ისიც „ვაშას“ იმეორებს...

უცებ ყველაფერი გამახსენდა, ეს პატარა ბიჭი მე ვარ, სულ ჩემი ჩაცმულობაა. ეს ხომ მამაა, ესეც ხომ ჩვენი თავმჯდომარეა! როცა შარშან ზეიმზე ტრიბუნას გავუწორდით, ძია ლაურენტი როგორც ახლა, მაშინაც ასე მოგვესალმა და ჩვენ „ვაშას“ ძახილით ვუპასუხეთ.

ამ დროს, კარგად მახსოვს, ერთი აპარატიანი კაცი, ქული შექცეულად რომ ეფხრა თავზე, გამოეყო გვერდით ხალხს, აპარატი ჩვენ მოგვიშვირა და დაატრიალა. ვილაცამ ჩვენ წინ ჩაილაპარაკა:

— კინოსურათს გვიღებენო.

შემდეგ გამოჩნდნენ ფიხკულტურელები. ლამაზად, მწყობრად მოდიოდნენ ისინი, ვეებერთელა გლობუსი მოკონდათ, და ისევ გუგუნებდა „ვაშას“ შეძახილები. კინოსურათი გათავდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ეს ჩვენ ვიყავით... ეს ჩვენ ვიყავით!

ვუამბობდი ყველას, მამაც მიდასტურებდა.

ის სურათი უსათუოდ ნახე, მე რომ ვარ შიგ გამოყვანილი!

შენი ჯოკია“





ჰაკობ ალაბაბი სომხეთის გამოჩენილი საბავშვო მწერალი იყო. იგი დაიბადა 1875 წელს და გარდაიცვალა 1926 წელს. მან სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო გასული საუკუნის ოთხმოცდათიანი წლებიდან. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „ალბიურში“ („წყაროში“), თანამშრომლობდა „ჰასკერში“ („თავთავები“) ოცანგს თუმანიანთან და სხვა გამოჩენილ მწერლებთან ერთად.

ალაბაბის ლექსთა პირველი კრებული 1907 წელს გამოვიდა. მას 1921 წელს ტფილისში გადაუხადეს 25 წლის სალიტერატურო და პედაგოგიური მოღვაწეობის ოუბილფე. საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიდა ალაბაბის ლექსები, პოემები და მოთხრობების კრებულები. მისი ერთერთი პოემა „ირმის ბალახი“ ჩვენს ჟურნალში იბეჭდება.



( ლ ზ ვ მ ნ დ ა )

1

უხსოვარ დროს, ძველად, თურმე,  
 იყო ერთი მონადიოე,  
 მართალია თუ ტყუილი  
 ეს ამბავი ნუ გაკვირვებთ.  
 მას არკული და ჰასკული  
 უმატებდნენ შნოს და იერს,  
 თან დაჰყავდა ეს ძაღლები  
 მონადირეს მსრაოლეის ძლიერს.  
 როგორც მუდამ, ისე ერთ დღეს  
 მან აიღო ხელში თოფი,  
 შორს წავიდა სანადიროდ,  
 გაღალახა მთა და კორდი.  
 მონადირე მდის ჩქარა,  
 სურს რომ შეხედეს საღმე ნადირს,  
 და ძაღლებიც მიწას ყნოსუნ,  
 თითქოს მიწას სუნი ასდის.  
 თითქოს ნადირს გაჰკრეს კბილი  
 და გავარდნენ აქეთ-იქით,  
 თავს ევლებდა მონადირეს  
 ნადირის ხმა, მასზე ფიქრი.  
 ვეღარ უძლებს მსხვერპლის ლოდინს,  
 სულწასული ლუკმას ელის,  
 და გამოჩნდეს ერთი მაინც —  
 მიაყოლოს ტყვია ცხელი!

2

უტბად ტყიდან ხმა მოესმა,  
 უტვედა და ძაღლი ყეფდა,  
 მონადირემ გაიფიქრა:  
 „ალბათ, ძაღლი ნადირს შეხვდა!“  
 იქ არკული ყეფდა ძლიერ,  
 არც ამბავი იყო მცირე:  
 ამდენი ხნის რბენის შემდეგ  
 შეხვედროდა მთაში ირემს.  
 ძაღლი ყეფს და თანაც უკვირს,  
 რომ ნადირი არსად მირბის,  
 თანაც ფიქრობს, რომ მის პატრიანს  
 გაახარებს ხორცი ირმის.

3

ხმა მოესმა ამ დროს ჰასკულს,  
 გამოვარდა ტყადან ჩქარა,  
 სურს ირემი დაიჭიროს,  
 მისი მოცდა უკვე კმარა.  
 იმ იმედით, რომ დაიჭერს,  
 ის მივარდა ირემს ყეფით,  
 და ირემმაც დასაცავად  
 მოიშველა თვისი რქები.  
 გაჰკრა ძაღლს, და ძაღლი მთიდან  
 გადინება საღლაც ხეფში,  
 მონადირეს ბრანჯი აღრჩობს,  
 მოიმარჯვა თოფი ხელში.



თითქოს მიწვამ მოუსმინა  
ოხერა-კენესა ობოლ ბიეის,  
რძის მაგიერად აღმოცენდა  
იქ ბალახი სულ სხვა ჯიშის:  
რბილი, როგორც აბრეშუმი,  
სათუთი და რძეზე ტკბილი...  
ბიეის გული გაუხარა,  
მან მცენარეს გაჰკრა კბილი.  
აღარ შია, აღარ კვენისს,  
მხოლოდ ნატრობს დედის თვალებს;

ამ ფიქრში და ამ ნატერაში  
გაიხარდა იგი მალე.  
ამნირად ეს ბიეიკი  
გადაურჩა ვაი-ვაგლახს,  
და იმ დღიდან იმ მცენარეს  
ეძახიან ირმის ბალახს.

სომხურიდან თარგმნილი  
სანდრო უდენტისა  
და მის. მამულაშვილის მიერ.

შალვა მარიანიშვილი


რკე დლე მარგოლ

(წიგნიდან „აფრიკის ტყეში“)

რკე დლეა, რაც მარტო-მარტო დაგებებ-  
ბი აფრიკის უღრან ტყეში, დაეძებ დაკარგულ  
ამხანაგებს. ყოველ ფეხის გადადგმაზე საფრთხეს  
მოეყლი, საეჭვო ხმაურზე სმენას ვიმახვილებ და  
უხილავ მტერთან საბრძოლველად ვეშალდები.  
თოფი მუდამ მომარჯვებული მაქვს და ხანჯა-  
ლი ნახევრად ამოწეული. სასოწარკვეთილებაში  
ვარ ჩავარდნილი, არ ვიცი რა ვქნა! სახუმარო  
საქმეა?! კენტად ხარ ნადირთა შორის, ამხანა-  
გიც არა გყავს, რომ დაგეხმაროს, იმედი მოგ-  
ცეს—მოდი და ნუ შეგეშინდება! მეც შეგშინდი.  
პირველ დღეებში უფრო მეშინოდა, ფოთლის  
შრიალიც კი მაფრთხობდა, მერე კი მდგომარე-  
ობას შევერიგდი, შევეჩვიე. მერე რა გზა  
მქონდა. მხოლოდ სამა უენო, მაგრამ ძლიერი  
„ამხანაგი“ მახლავს.—ესენი არიან ჩემი თოფი,  
რევოლვერი და ხანჯალი. მათ მივინდე ჩემი ბე-  
დი და, ვფიქრობ, არ მიღალატებენ. ღამეს ხეზე ვა-  
ტარებ და კურდღლეოვით ფრთხილად მძინავს,  
ჯიქის თავდასმის მეშინია. ის ხომ ხეზე კატა-  
სავით აღის! ამოღებული ხანჯალი თავჯექვ მი-  
დევს, თოფი კი გვერდზე. ერთადერთი ნუგეშის  
მომცემნი არიან პატარა მამულები, დედა-შვი-  
ლი, რომელნიც ჩემს ხეზე ბუდობენ: თუ რამე  
საფრთხე შემამნიეს, ხმაურით მაფრთხილებენ. მა-  
თი დიდი იმედი მაქვს. ამ რვა დღის განმავლობაში  
საქმოდ შემეჩვიე: აღარ მიფრთხიან და არც  
ჯოხებს მიშენენ. შინაური კაცი ვაფხი. განსა-  
კუთრებით შემეჩვია შვილი. არ ვიცი, მე შე-

მეჩვია თუ ჩემ შოკოლადებს და ტბილ ნამ-  
ცხერებს, რომელნიც ისე უსირცხვილოდ დამ-  
ცანცლა. მართალია, დედა-მამიშური ჯერ კიდევ  
უნდობლად მიყურებს, შეიღს ტუქსავს, უშლის,  
მაგრამ ის მაინც ჩამოიპარება ჩემთან, კუდით  
და უქანი თათით ჩამოეკიდება ტოტზე, გამო-  
მიწევის თათს და თან მე შემყურებს და თან  
ჩემ სამგზავრო ჩანთას. ცხადია, შოკოლადსა  
მთხოვს. მაგრამ ჩანთა დიდი ხანია დაკარგილ-





და, შიგ ერთი ნამცეციც არ არის, რაც მქონდა, სულ დაეუთმე. მიიწვ კიდევ იმედი აქვს, რომ მიეცემ რამეს, ვაუმადარია, თავს მამეზრებს. განვტო თვალებს ვიბრძავევ, თითქოს ვერ ვამჩნევ მის წამოწყვილ თათს. ის ხმაურით ცდილობს ჩემი ყურადღების მიპყრობას, მაგრამ არაფერი გამოუდის, შემდეგ თათით ოდნავ შემეხება, მომაგონებს აქა ვარო. ბოლოს იმედგაცრუებული ბრუნდება დედასთან. წასვლისას თავზე თითი ჩამოქრა. გუშინ ღამით, როცა მეძინა, ორჯერ ცადა ჩანთის მოპარვა, მაგრამ გავუგე და თუ პირველად ვაბატე, მეორეჯერ ლახათიანად მივტყევე. მასაქეთ ჩანთას ახლოს არ გვარება.

მე ჩემი დარდი მაწუხებს. დღეს ერთხელ კიდევ ვცადე ამხანაგების მოძენა. ერთხანს ტყეში იქთ-აქთ დაედიოდი, გზას ვეძებდი. გულის გასამაგრებლად ხამპილა ვყვიროდი, ვილაცს ვეჩხუბებოდი. შემდეგ ურმულიც შემოვამხე, მაგრამ რა საბარლოდ ისმოდა ჩემი ხმა! ვერ ვიციანი. ბოლოს ვიფიქრე სიმღერით უფრო ზიანი არ მომეტანა ჩემთვის, ნადირთა ყურადღება არ მიმეპყრო და ბუღბუღლის ამბავი არ დამპართოდა. ბუღბუღლი როცა გალობს, ყველაფერს ივიწყებს და გარეშე ხმაური არ ესმის. ამით სარგებლობს მსუნაგი კატა და ბუნების მგოსანს

სიკოცხლეს ასაღმებს. სილერა შევწყვიტე, მაგრამ ჩება ისევ შიშმა შემიპყრო. ახლა თოვლი გავისროლე, ამით ნადირთ ვაფრთხოვდი. ცოცხნის შემდეგ კიდევ გავისროლე. მერე კი შევჩერდი. მომაგონდა ერთი მეოცნებე რაინდი რომელიც სივრცეში ხმალს იქნევდა და უზილავ მტერს ერხუბებოდა. შევიძლება ახლომახლო არავითარი ნადირი არ იყო და ტყეილუბრლოდ ტყეის ვხარჯავდი და განგაშს ვტყებდი! შევიძლება ისე არა წვიმდეს, როგორც ქუხს მეტე, — გავიფიქრე და ცოტა დავმწვიდდი. „ქირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქეთიკისა!“ — წამოვიძახე უკვდავი შოთას სიტყვები და ფეხი აფურქავე მაგრამ სად მივდიოდი? რამ გეკითხათ — ვერ გიპასუხებდით. ერთხანს ასე უნაკოფოდ დავეხეტებოდი ტყეში. ბოლოს ისევ ჩემი ხე მოვებენე და ზედ ავედი. მაიმუნები მხარულად შემეგებნენ და თავისებურად მომესალმენ. გუშინდამ შეწვარი ხორცი მქონდა შენახული, მაღიანად ჰამა დაეუწყე. მაიმუნებსაც შევთავაზე, მაგრამ ხორცი არ შეტაქს, დასუნეს და გადააგდეს...

უტკრად შორიდან აღამიანთა ყივინი შემოვიქსმა. გახარებულს ხორცი ხელიდან გამივარდა. ვიფიქრე, ჩემი ამხანაგები თუ არიან მეჭიქი, და შესახვედრად მოვემადე. ის იყო ვაპირებდი ხილან ჩამოსვლას, რომ დავინახე შუბებით შეიარაღებული ათი-ათოხმეტი ველური, რომელნიც ვილაცს, ჩემებურად ჩაცმულ კაცს მოათრევდნენ. ჩემს სიკოცხლეში ველურებს პირველად ვხედავდი, წიგნებში კი ბევრი წამეკითხა მით შესახებ. წიგნებიდან ვიცი, რომ მით შორის შინშილობის ნიდაგზე კაციჰამობა იყო გავრცელებული. ამ აზრმა, ცოტა არ იყოს, შემაძრწუნა და ჩემი ხელები თავისთავად წავიდნენ თოფისაკენ. მაგრამ ვის მოათრევდნენ ველურები? ორ მოზრდილ ველურს უბედურისათვის მხარებში ხელი ჩაქვიდა და ძალით მოაპარევდნენ. კაცს გაუთრებელი სახე შიშისაგან დაღრეჯოდა; რაც ძალი და ღონე ჰქონდა უძალიანდებოდა, არ მოყვებოდა, მაგრამ სხვა ველურები შუბის მოღერებით აიძულებდნენ გზა განეგრძათ. როცა მომიხსლოვდნენ და ტყეც დაეკვირდი, თავზარი დამეკა. ეს იყო ჩემნი ექსპედიციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, ზოლოლოგი, ჩემი მეგობარი ვანო. ვაი თუ სხვები

დახოცეს მეთქი — გავიფიქრე და გამბრაზებულმა თოფი გადმოვატრიადე. შესაშინებლად ჯერ ჰაერში გავისროლე. თოფის ხმაზე ველურები დაფრთხნენ, შეშინებულებმა ტყვეს ხელი უშვეს და იქითაქით გავარდნენ. ვანომ მათი არცერთი ისარგებლა და გაქცევა დააპირა. ველურებმა ჩქარა მოიკრიბეს გონება და შეჩერდნენ, ერთმა მათგანმა გაქცეულს თვალი შეასწრა და შუბმოდერებულნი გამოუდგა. დაკონება არ შეიძლეოდა და ველურს თოფი ვესროლე. ველური მოცდელივით წაიქცა. თოფის ხმაზე ვანო შედგა და ჩემკენ მოტრიალდა.

— ნუ გეშინია, დაწევი! დაეუბახე მას ხმაშალა. მეშინოდა, რომ სროლის დროს შემთხვევით არ მომეკლა ან არ დამეჭრა.

— ვინა ხარ, მიშველე! — შემომძახა ვედრებით. ცხადია, ვერ მიცნო.

— დაწევი! — გაუუმეორე უფრო ხმაშალა.

საბრალო მიხვდა, რომ რაღაც კარგს ვურჩევდი, რომ მოყვარე ვიყავი და არა მტერი, და შორჩილებით ჩაიმალა ბალახებში. შუბმოდერებული ველურები ჩემკენ მოიწეოდნენ. მეც თოფ-მომარჯვებელი ვუსდიდი. არ მინდოდა სისხლის ტყუილ-უბრალოდ დაღვრა. ჯერ იმედი მქონდა, რომ ველურები თავს დამანებებდნენ და წაივლიდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. ერთი ველური განაპირდა და შუბი შემომტყორცნა. დროზე მოვასწარ თავის დაბლა დაწევა. შუბი ჩემი თავის ზევით ტოტებში შეფრინდა, რაღაც რბილ საგანს ჩაერკო და თან გადიტანა. დედა-შაიშუმმა საშინლად დაიწიეღა. შემერთაღმა აეხედე. დედასთან შვილი ევლარ შევინაშნე. როდესაც დაბლა ჩავიხედე, მისი შვილი შუბზე

წამოგებული დაფავდა სულს. სიბრაზისაგან სისხლი თავში ამვივრდა.

მეორე ველურმა რომ დაინახა შუბის ატრენა, ახლა ის განაპირდა.

— მაშ თქვენი აღარ ხუმრობთ! — შევძახე და შუბშემადიდებულ ველურს მარჯვენა მკლავში გავუტარე ტყეია. ველურმა შუბი ხელიდან გაავლო და აღრიადდა, გასისხლიანებულ ხელს გამწარებით იქნევდა. სხეებმა რომ ეს სურათი დაინახეს, გულადობა დაკარგეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოკურცხლეს. დაჭრილიც მათ აედევნა. რასაკვირველია, შემძლო გაქცეულეებისათვის ტყეები დამეშინა და დამეხუცა, მაგრამ თავი შევიკავე, ხიდახ სწრაფად ჩამოველ და მიწაზე გაკრულ ვანოს მივუხალავდი. მან ქვევიდან გაუბედავად შემომხებდა. ისე იყო შიშისაგან კონებდაფანტული, რომ ჯერ ვერ მიცნო, მერე კი ვიადამეხვია და სიხარულისაგან ატრიადა. მეც მას აეყვი, გულჩვილობა გამოვიჩინე და ცრემლებით დავისველე სახე...

ვერ წარმოიდგენ, ჩემო მკითხველო, როგორ გამახარა ვანოს შეხვედრამ. აქამდის ნადირთა შორის დამჭერი, იმედის მომცემი, ახლა კი მეგობარი შემხვდა, რომელიც ვაჭირვებაში ასე თუ ისე დამეხმარებოდა. მართალია, ჩვენი ვანო გულადობას ვერ დიკვებოდა და ვერც ღონით კამეჩს ძირს დასცემდა, მაგრამ ჩემთვის ღიღი იმედი იყო. თუმცა, ჩვენ შორის დარჩეს, არც მე გახლდით ღიღი გულადი, მაგრამ სიფრთხილე და მოხერხება არ მაკლდა და ჭირში მყოფს თავი არ დამიკარგავს. როგორც იქნა, ვანო დავამშვიდე და ჩემი საფარისაკენ წავეყვანე.



## დააკვირდით

კატას ძალიან უყვარს ისუფთავე. ჩაცუტკდება და დაიწყებს „პირის ბანას“. დააკვირდით კატას, და თქვენ თვითონ დაინახავთ, რა კარგად ისუფთავენს სახეს, რა კარგად „იბანს პირს“.

აღამიანმა თხილი იშოვა. რა ქნას, რით გატეხოს? კბილები სუსტი აქვს, შეიძლება თხილი მთელი დარჩეს, კბილი კი გატყდეს.

აღამიანმა ვაიკეთა თხილის, კაკლის სამტვრევი.

ციყვეს უყვარს თხილი, რით დაამტვრიოს? მას წინა კბილები ისე აქვს მოწყობილი, რომ მშვენიერად ამტვრევს თხილს.

დალამდა. აღამიანს სხვაგან უნდა წასვლა, მაგრამ ისე ბნელა, რომ არაფერი ჩანს. ის ანთებს ფარანს, ინათებს გზას და მიდის.

წყალში დიდ სიღრმეზე ბნელა, იქ აუარებელი თევზია. ირგვლივ სულ ბნელა, რა ქნან თევზებმა, როგორ იშოვნონ საჭმელი, საით წავიდნენ ამ სიბნელოში?

თევზებსაც აქვთ „ფარანები“—მათი სხეულის ზოგიერთი ნაწილი ისე ანათებს, როგორც ფარანი, და ეს თევზები მშვენიერად გრძნობენ თავს. ინათებენ გზას და ეძებენ საკვებს.

დააკვირდით ბუზს. ის ფეხებით შესანიშნავად ისუფთავენს სხეულს. ფეხებზე ბეწვები აქვს და ეს არის მისი „სავარცხელი“, ამით იცილებს მტვერს, ქუპკს. ასევე იქცევა ფუტკარი, კრაზანა (ბზიკი) და სხვა.


ხომ გინახავთ ზოოპარკში პელიკანი? იგი ბატს ჰგავს, ოღონდ უფრო დიდია და ძალიან გრძელი ნისკარტი აქვს. ნისკარტის ბოლოზე არის პატარა კაუჭი. რად უნდა პელიკანს ეს კაუჭი? როდესაც ბუმბული იშლება, აებურდება, ამ კაუჭით დაილაგებს და გამოკობტავდება.

მონადირე იხვებზე სანადიროდ აპირებდა წასვლას. მან თავის ჩექმებს თევზის ზეთი წაუსვა. რატომ? იმიტომ, რომ დაზეთილ ფეხსაცმელს წყალი არ ეკარება. არ სველდება.

ზის იხვი წყალში, ნისკარტს კურტუმოსთან მიიტანს, მერე გულმკერდზე, ზურგზე გადისვამს, ასე ბევრჯერ იმეორებს. რად იქცევა იხვი ასე? მას ნისკარტით გამოაქვს კურტუმოდან ქონი და ბუმბულზე ისევამს, რომ ბუმბული წყალში არ დასველდეს.

ბავშვებო! დააკვირდით ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს, და ბევრ საინტერესო რამეს შეამჩნევთ.





ნუნუ, შენ მანდ რას აკეთებ,  
 ადე ჩქარა, გამო გარეთ:  
 შეხე, როგორ გალამაზდა  
 ჩვენი უბნის არემარე.  
 შეხე, ა იქ დიდი ბალი  
 როგორ ჩქარა გააშენეს,  
 ხეებით და ყვავილებით  
 მოკაზმეს და დაამშვენეს.  
 დედა, დედა, რა კარგია,  
 რა კოხტაა, რა ლამაზი!


იქ ბავშვები თამაშობენ  
 უამრავი, ასჯერ ასი!  
 — სათამაშოდ არ მკალოია,  
 დამანებე, სოსო, თავი:  
 აგერ ხელად ჩემს ტიკინას, —  
 ჯერ ესა მყავს მოსართავი...  
 მინდა ესეც ჩემთან ერთად  
 სასეირნოდ გავატარო,  
 ისე თბილად, ისე მშვიდად —  
 ნიავი არ მივაკარო.

სოა დაუნარკლი

ბ ა კ ვ ე თ ი ლ ი

— გოგო, თინა, რატომა ხარ  
 ვგრე სასოწარკვეთილი?  
 — რა ვქნა, გოგო! ვერ ვისწავლე  
 ეს ოხერი გაცვეთილი.  
 — შე გასწავლი, ყური მიკდე,  
 წავიკითხე, მოგიყვები.  
 — გენაცვალე, დამეხმარე,  
 ლია, შე ნუ მოგიკედები!  
 — აქეთ მომე შენ ეგ წიგნი,  
 წავიკითხო... უკდე ყური!  
 — დამაცადე, მომშიენია...  
 ახლა ცოტა ეჭაოთ პური!  
 — უპ, რას ამბობ, შე გასწავლი,  
 შენ კი პური გავონდება?  
 ვინც არ სწავლობს, ან ზარმაცობს  
 ბოლოს სწორედ დღაონდება.  
 შენ ხომ იცი, საყვარელმა  
 ბერებმა რა დაგვაქალა:

ყველა საგანს, რასაც ვსწავლობთ,  
 „ფრიადებზე“ უნდა სწავლა.  
 შერცხვა თინას, ჩაჯდა თავქვე  
 და ყურს უგდებს ლიას ტიტინს,  
 უხარია, დაიმედდა  
 ამგვარ კარგი მგაღლითთ.  
 და თვითონაც მოყვა შემდეგ  
 უბორძიკოდ, უჩოთიროდ,  
 დალაგებით, ისე კარვად,  
 რომ თვითონვე ძლიერ კვირობს.  
 — გენაცვალე! ასე მალე,  
 გოგო, როგორ შევისწავლე?  
 — ხა, ხა, ხა, ხა! კითხვა უნდა  
 დაკვირვებით, გენაცვალე!  
 ვიბეჯითოთ, სიზარმაცე  
 ახლოსაც არ გავიკაროთ,  
 „ფრიადს“ შრომით მოვიპოვებ  
 წიგნი უნდა შევიყვაროთ.







კლ. თევზაძე

### ზ ი ბ ე რ ა

გამოსჯერით მუყაოსაგან ან ქალაღლისაგან ორორი ფიგურა 1, 2, 3 და 4 ნახებების მიხედვით და შეაერთეთ ისინი ისე, რომ მივიღოთ დიდი ფიგურა ბ.



### ჩვენს მკითხველებს

ჩვენი ჟურნალის № 1-ში მოთავსებული მწერლის გვარისა და სახელის ალექსანდრე ყაზბეგის — ბგერების მიხედვით შედგენილ სიტყვების რიცხვს და შემდგენლების გვარსა და სახელს ვათავსებთ აქვე.

1. ჩორგოლიანი ნოდარ . . . . .	127	სიტყვა	8. მთავრელი შვილი თინა . . . . .	214	სიტყვა
2. ნაცვლი შვილი ანიკო . . . . .	231	"	9. იოსება შვილი ქუეუნა . . . . .	123	"
3. შეყრილაძე ვოგო . . . . .	110	"	10. კოკომაზა შვილი მათიკო . . . . .	150	"
4. ლომთათიძე სოსო . . . . .	516	"	11. კაპანაძე ნიკო . . . . .	103	"
5. დონდუა დავით . . . . .	116	"	12. მხეიძე მარო . . . . .	110	"
6. დონდუა კარლო . . . . .	116	"	13. მელიაძე თამაზ . . . . .	130	"
7. მენტეშაშვილი ცისიკო . . . . .	114	"	14. ძემბისაშვილი იოსებ . . . . .	157	"